ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროშა

832
1963

"NOTRE DRAPEAU"

დაარსებულია ნოე ჟორდანიას მიერ.

N° 38

Directeur: MICHEL STOUROUA.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ნოე ჟორდანია დიდი სახელმწიფო მოღვაწე.
რ. არსენიძე—მოკლე დახასიათება ნ. ჟორდანიას პოლ. მოღვ.
ინნა ჟორდანია—როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ნოე.
დეპეშები და წერილები.
მ. სტურუა—იოს. ელიგულაშვილის გარდაცვალ. 10 წ. თავზე.
ბ. ს.—ნიკო იმნაიშვილი.
რ. ა. გრიგოლ როპაქიძე. და სხვ.

პარიზი. ი ა ნ ვ ა რ ი. Paris.
1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნოე ჟორდანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანია—
დიდი სახელმწიფო მოღვაწე.

ამ ათი წლის წინეთ გამოგვეცალა ხელიდან ჩვენი ერის დიდი მესაიდუმლე ნოე ჟორდანია.

მთელი 50—60 წლის განმავლობაში უძღოდა იგი ჩვენი ერის მასიურ, ხალხურ, ნამდვილ დემოკრატიულ მოძრაობას, ჩვენი ერის ფართო ფენების გამოფხიზლებას და შეგნებულ ეროვნულ ძალათ გადაქცევას.

ნოე ჟორდანია მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მოევლინა თავის მადლიანი კალმით ქართველ საზოგადოებას. მან ხელში აიღო დროშა ხალხის დიდი უმრავლესობის, მშრომელების, რომელნიც მან ერის მომავლის უძლიერეს, ყველაზე საიმედო და ურყევ ბურჯათ გამოაცხადა. ამ მშრომელთა გათვითცნობიერებას, მათ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანას დიდი ისტორიული მისიის შესასრულებლად —შეალია მან მთელი თავის ძალა, ნიჭი, მთელი თავის სიცოცხლე.

მიეცით გზა ხალხს, მშრომელთ, დაჩაგრულთ! მხოლოდ მათ შეუძლიათ განახლების შეტანა ჩვენს ცხოვრებაში! ხალხმა თვით უნდა იხსნას თავის თავი. იგი უნდა გახდეს აქტიური, შეგნებული ძალა, თავის ბედის გამჭედი. დიახ. ის უნდა გახდეს თვითმმქმედი და არა სხვის ხელში შემყურე, სხვისი მოწყალების მაძიებელი. ასეთი იყო ის ლოზუნგი, რომელიც ნ. ჟორდანიამ გადმოისროლა ქართულ საზოგადოებაში.

ისტორიის მსვლელობამ გაამართლა მისი წინგამჭვრეტელობა. ქართველი ხალხი გამოფხიზლდა. ისტორიულ ჭიდილში შეგნებულათ ჩაება. მალე მთელ ეროვნულ ცხოვრებასაც სათავეში ჩაუდგა, იქცა ერათ—შეგნებულ-შეკავშირებულ ეროვნულ ერთეულად.

ისტორიის მსვლელობის სწორმა გაგებამ შეაძლებინა ჩვენს პატარა ერს თავის ადგილი დაეკავებია მთელი რუსეთის და შემდეგ მსოფლიო ცხოვრების ასპარეზზე. და ეს ადვილი არ იყო: პატარა ქართველი ერი გახდა ერთი წამყვან ძალათაგანი დიდი რუსეთის ერთა ცხოვრებაში. ქართველი ერის მოძრაობა, ბრძოლა ცხოვრების უკეთესი პირობების შესაქმნელად გახდა სანიმუშო, სამაგალითო, ყველასაგან ცნობილი, მისაბაძი.

ნ. ჟორდანია მთელი თავის გამჭრიახობით, დაუღალავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდადებული შრომით, კალმით და სიტყვით უძღვებოდა ამ საზოგადოებრივ მოძრაობას, იყო მისი საუკეთესო იდეური გამომხატველი.

და მადლიერმა ერმა ასეთად იცნო იგი. ამიტომ იყო, რომ როდესაც რევოლუციის, ომის და მთელი რუსეთის ქაოსით მოცულობის პირობებში ქართველ ერს დასჭირდა თავის თავის პატრონობა თვითონ ეკისრა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და შემდეგ დამოუკიდებლობის ხელმძღვანელობა ნოე ჟორდანიას დაეკისრა. მას მიანდო ერმა თავის ბედი.

ნოე ჟორდანია იყო ერის უდაო მეთაური იმ ბედნიერი წლების, როცა საქართველო თავის საკუთარ, თავისუფალ ცხოვრებას აწყობდა ისტორიულად ნაანდერძევ და თანამედროვე პირობებთან შეთანხმებულ ეროვნულ სუვერენიტეტის საფუძველზე.

ნ. ჟორდანია იყო ერთად ერთი პრეზიდენტი თავისუფალ საქართველოსი და თავმჯდომარე მისი მთავრობის, ნოე რამიშვილის მცირე ხნით თავმჯდომარეობის შემდეგ,

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნ. ჟორდანიას როლი იყო განსაკუთრებული, თავისებური, უჩვეულო. უპრეცედენტო. მაგრამ მას ჰქონდა ერთი დასაყრდენი: დიდი გავლენა, რომელიც მან მოიპოვა მთელ ერში თავის დაკვირვებული, გონივრული, დემოკრატიულ პრინციპებთან შეთანხმებული მოქმედებით.

ნოე ჟორდანია მუდამ იდგა ხალხთან, მუდამ კავშირში ჩაბმული მის ფართო წრეებთან, თავის თანამშრომლებთან, საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებთან. მათ ეთათბირებოდა, ისმენდა, თავის აზრს, სამოქმედო პროგრამას უზიარებდა.

ყველა ამის გამო შეიქმნა მის გარშემო განსაკუთრებული ატმოსფერო საერთო ნდობისა და პატივისცემისა საზოგადოების ყველა ფენებში, თვით ოპოზიციურ დაჯგუფებებშიც.

ამიტომ იყო, რომ როცა ევროპიდან გვეწვიენ მუშათა ინტერნაციონალის წარმომადგენლები, ამ პირველი სოციალისტების ხელით აგებულ სახელმწიფოს სანახავად, მათ ვერავისგან, თვით უკიდურეს ოპოზიციურად განწყობილი პირებისაგან კი ვერ გაიგონეს მისი ოდნავ მაინც გაკრიტიკება, რაიმე წუნის დადება. ეს იყო არაჩვეულებრივი უცხო სტუმრებისთვის და გაკვირვებული წერდენ თავის მოგონებებში, რომელიც ევროპაში დაბრუნების შემდეგ გამოაქვეყნეს: «არავინ არ ებრძვის ჟორდანიას» («Personne n'attaque Jordania»).

30275

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს იყო სწორი გამოხატულება ქართული სინამდვილისა დამოუკიდებელ პატარა რესპუბლიკაში.

როცა იმ ხანაზე და ჩვენს მოღვაწეებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი განსაკუთრებული გარემოება, რომელიც ყურადღების ღირსია:

ამ ხანათ ზოგიერთ ევროპიელ სახელმწიფოშიაც შედიოდენ მთავრობაში სოციალისტები, ზოგან მთავრობა მთლიანათ სოციალისტების ხელში იყო, რუსეთის რევოლუციურ მთავრობაშიც სოციალისტები დიდ როლს თამაშობდენ, მაგრამ საქართველოს სოციალდემოკრატებს მათგან დიდათ განსხვავებულ პირობებში მოუხდა სახელმწიფოებრივი ბოღვაწეობა. განსხვავება იმაში გამოიხატებოდა რომ სხვაგან სოციალისტები ეპატრონებოდენ უკვე არსებულ სახელმწიფო ორგანიზმს. საქართველოში კი სოციალდემოკრატიას ისტორიამ დააკისრა თვით ერის დამოუკიდებლობის გამოცხადება და მაშასადამე ახალი სახელმწიფოს შექმნა, ჩაბოყალიბება, მისი ცხოვრების აწყობა, და ეს იყო სრულიად უპრეცედენტო ამბავი.

თანაც საქართველოს მდგომარეობა იმ დროს იყო მეტად გართულებული.

სამხრეთიდან მას თუ სრული დაპყრობით არა, ტერიტორიის დიდი ნაწილის წაგლეჯით მაინც ემუქრებოდენ. შემოიჭრენ კიდეც ამ მიზნით ჩვენს ტერიტორიაზე.

ჩრდილოეთიდან კი სამოქალაქო ცეცხლის ხანძარი და საშინელი ანარქიის ქაოსი იყო საზღვარზე მომდგარი და პატარა ქვეყანას ჩანთქმას ემუქრებოდა.

კულტურული ევროპაკი, რომლისკენაც მთელი თავის არსებით მიისწრაფოდა ქართველი ერის გონება, შორს იყო და გზაც, მასთან მისასვლელი, აბობოქრებული რევოლუციური ტალღებით და საშინელი მსოფლიო ომით იყო მოჭრილი.

აი ამ პირობებში მიყავდა საქართველოს თავისუფლების ხომალდი—მის დიდ მესაჭეს—ნოე ჟორდანიას.

ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ; თუ არა ჩრდილოეთიდან შემოჭრილი უხეში რუსული დიქტატურის ძალმომრეობა, ვინ იცის, რა სიმაღლეზე იქნებოდა დღეს ქართველი ერი ასული, და რა კეთილ-მოწყობილი და ბედნიერი იქნებოდა დღეს საქართველო!

განა ქართველ ერს აკლდა შემოქმედებითი ნიჭი დამოუკიდებელი ცხოვრების მოწყობის? განა არ ქონდა მას ისტორიული გამოცდილება სახელოვანი სახელმწიფოებრივი არსებობისა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში? არ ჰქონდა განა თავის ოქროს ხანა, აყვავებული და ძლიერი სამეფო დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმაშენებლის და თამარ მეფის? ან და ძველ ისტორიასაც რომ არ გამოვეკიდოთ, იმ ხანმოკლე, სულ რაღაც სამი წლის მანძილზე, 1917—20 წლებში როცა ქართველი ერი თავის ბედს პატრონობდა, განა ვერ შესძლო მან ისე მძლავრათ გაშლა ფრთების, ისეთი სახელმწიფოებრივი უნარის გამოჩენა, რომ პირნათლად წარმდგარიყო უცხოელი მნახველების წინაშე?

და ჩვენ ხომ ვიცით, რომ მთელი 117 წლის განმავლობაში რუსეთის ერთ-ერთ პროვინციათ მიჩნეული, ყოველ გვარ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობისგან გარიყული, რუსეთის ბიუროკრატიის ხელქვეითობაში განაწამები ერი თავის უფლების პირველ დღეებშივე აღსდგა ფენიქსივით, როგორც სახელმწიფოებრივი ერი და თავის ისტორიულ გზაზე შემდგარი, თავის საკუთარი, წარსულში შექმნილი კულტურით, ამაყათ და თამამად, თავაწეული შევიდა საერთაშორისო ოჯახში, როგორც სწორი სწორთა შორის. და ახალი სახელმწიფოს სახელი სულ მოკლე ხანში ფართოდ გახდა ცნობილი მთელ განათლებულ კაცობრიობაში.

აი ყოველივე ამას ედგა სათავეში ნოე ჟორდანია, უებრო მესაჭე და ხელმძღვანელი.

მრავალი უცხოელი, ევროპის დიდ ერთა წარმომადგენელი ეწვია დამოუკიდებელ საქართველოს, ზოგი მოყვრულათ, ზოგი მტრულათ, ზოგი ნეიტრალურათ განწყობილი. თითქმის ყველანი ცნობისმოყვარეობით მოდიოდენ, როგორც დიდი კულტურის შვილები, პატარა ერთან, რომელიც სადღაც შორს, აზიის საზღვრებზე იყო ახლად აღორძინებული. რასაკვირველია ყველას უნდოდა ენახა ამ ერის მეთაური, მისი წინამძღოლი. მისი სახით უნდა დაეფასებიათ მთელი ერის კულტურა, და პოლიტიკური შესაძლებლობანი.

უნდა ითქვას სიმართლე, თუ მის კაბინეტში კიდევ ეჭვით შეპყრობილი შედიოდენ, იქიდან უკვე სულ სხვა სულიერი განწყობილებით გამოდიოდენ; მათ ნახეს, იგრძნეს, მიხვდენ, რომ მთავრობის კაბინეტში იჯდა თეთრი წვერით შემოსილი დინჯი, ჭკვიანი, გონიერი დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ყოველ დიდ სახელმწიფოსაც კი დაამშვენებდა.

ასეთი იყო ნოე ჟორდანია; მის პიროვნებაში ხორცშესხმულათ ისახებოდა ქართული ისტორიული სულის სიძლიერე, ქართველი ერის ისტორიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სიმწიფე და გამოცდილება. ის იყო ნამდვილი შვილი ქართველი ერის.

დიახ, ნოე ჟორდანია იყო დიდი პრეზიდენტი პატარა, მშვენიერი საქართველოსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოკლე დახასიათება
ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის.

ყველაზე დიდი ღვაწლი ნოე ჟორდანიას მიუძღვის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის მშენებლობაში. სილიბისტრო ჯიბლაძესთან ერთად იგი იყო ერთი ფუძემდებელთაგანი ეგრედ წოდებული მესამე დასის, რომელიც ფაქტიურად სოციალდემოკრატიული მუშ. პარტიის ლეგალურ სახელს წარმოადგენდა.

ჩვენში ამ პარტიის მშენებლობას თავისებური ხასიათი ჰქონდა. იგი ეყრდნობოდა თავიდანვე ორ შესაძლებელ სახეობას სოც.-დემ. იდეების ქადაგებისა—ლეგალურს და არალეგალურს. ყველა მონაწილენი ეწეოდენ ასე თუ ისე ორივე სახის მუშაობას. განსხვავება იყო მხოლოდ იმაში, რომ ერთნი უმთავრესად არალეგალური წრეების შედგენას და ხელმძღვანელვბას ეწეოდენ, მეორეებს კი უმთავრესად ლეგალური გაზეთის საშვალებით მათი იდეური დახმარება და პროპაგანდის ფართოდ გაშლა ჰქონდა დაკისრებული. ამ ორი სახის მუშაობის შერწყმამ და მჭიდრო ურთიერთობამ მისცა საქართველოს სოციალდემოკრატიულ მოძრაობას ის ფართო მასსიური ხასიათი, ოომლითაც განირჩეოდა ის მთელი რუსეთის მოძრაობისაგან.

ახალგაზრდობა ეტანებოდა კვირეულ ჟურნალ «კვალს», რომელსაც ნოე ჟორდანია ჩაუდგა სათავეში და «მესამე დასელობა» ე. ი. «კვალის» მიმდევრობა გახდა ფართოდ გავრცელებული. ნოე ჟორდანია იყო ამ ჟურნალის სულის ჩამდგმელი. მისი მოხდენილი კალამი, დაკვირვებული, დინჯი მსჯელობა, საკითხის ისეთი გაშუქება, როგორც საქართველოს სინამდვილეს შეეფერებოდა—დიდ მორალურ ძალას აძლევდა ამ მიმდინარეობას. თვით გაცხარებულ კამათშიაც კი, რომელშიაც ჟურნალი «კვალი» იყო ჩაბმული ჩვენში ძველი თაობის მოღვაწეებთან, ნ. ჟორდანია იჩენდა წინა თაობის მეთაურთადმი პატივისცემას. ზრდილობიანობას და ცდილობდა კამათში შეურაცყოფის ან დამცირების რაიმე ელემენტი არ შეეტანა. ეს «ჯენტლმენობა» ხიბლავდა მაშინ ახალ თაობას და თან ასწავლიდა მას, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე თავშეკავებას და რიგიანობას მეტი ძალა აქვს თავის იდეათა გასამარჯვებლად, ვინემ მოპირდაპირის საზოგადოების თვალში დამცირებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ნ. ჟორდანიას მოჰქონდა ახალი იდეები, ახალი მოძღვრება, ევროპიდან და რუსეთიდან შემოტანილი, მაგრამ ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებული, მისი მომავალი განვითარების მაუწყებელი. უამისოდ იგი ფეხს ვერ მოიკიდებდა ჩვენში. მართლაც ბევრს უკვირდა, ჩვენს, უმთავრესად აგრარულ ქვეყანაში—მარქსიზმის იდეების გავრცელება, იმ იდეების, რომელნიც განვითარებულ წმინდა კაპიტალისტურ ქვეყნების ნიადაგზე იყო აღმოცენებული.

მაგრამ ეს მარქსიზმის გავრცელება ხომ ფაქტი იყო. და ეს ფაქტი უმთავრესად ნოე ჟორდანიას კალამის ნაყოფათ იქნება ყოველი ისტორიკოსის მიერ აღიარებული. და აი რატომ: ნოე ჟორდანია არ იყო დოგმატიკოსი. ის მარქსის დებულებათაგან იღებდა იმას, რაც საქართველოს იმდღევანდელ ან სახვალიო საფეხურს შეეფერებოდა. ეს იყო, თუ გნებავთ, მარქსიზმის თეორიების შემოქმედებითი გამოყენება სრულიად თავისებურ ქართულ ცხოვრების პირობათა შესაფერისად. მარქსიზმის მეთოდი—საქართველოს სინამდვილე—აი ორი შემადგენელი ელემენტი, ნ. ჟორდანიას მთელი სამწერლო მოღვაწეობის.

ასეთივე იყო ის პოლიტიკურ დარგშიაც.

საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია იმ თავითვე იდგა ქართულ ნიადაგზე, იგი საქართველოს კონკრეტულ სინამდვილეს უწევდა ანგარიშს. ამოცანებიც, რომელიც მას ისტორიამ არგუნა გადასაჭრელად, იყო არსებითად განსხვავებული და თავისებური. საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიას ნოე ჟორდანიას მეთაურობით, უხდებოდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩატარება წმინდა დემოკრატიული მუშაობის, რომელიც სხვა ქვეყნებში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პარტიებისა და მიმდინარეობებისაგან იყო შესრულებული. იმავე დროს მას სჭირდებოდა სოციალისტური იდეების ქადაგებაც. და ეს ორმაგი მოვალეობა საქართველოს სოც.-დემოკრატიამ ღირსეულად შეასრულა. შეიძლება ითქვას, სახელოვნათ შეასრულა. ამაში უდიდესი წილი უდევს ნოე ჟორდანიას დიდ პუბლიცისტურ გამჭრიახობას, პოლიტიკურ ალღოს და გაბედულ შემართებას. ამ დიდი მისიის შესრულება შესაძლო იყო თვით ხალხის აქტივობაზე დაყრდნობით და ნ. ჟორდანია არ დაერიდა ამ ნიადაგზე მთელ ქართველ ინტელიგენციის მონოპოლისტურ ტენდენციას შებრძოლებოდა და ხალხის ფართო მასებისთვის გაეხსნა გზა, რომ ისინი თვით ჩადგომოდენ თავის საქმეს სათავეში. ამიტომ იცნო იგი ხალხმა თავის მეთაურად და ხელმძღვანელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ მოღვაწეობას ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმე შტრიხით ვახასიათებთ. მისი ყველა ეტაპების აღწერა—ეს იქნებოდა საქართველოს საზოგადოებრივ მოძრაობის ხალხური ტალღის 60 წლის ისტორიის აღწერა და ეს კი დღეს ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ამისთვის არც დრო გვაქვს. არც საჭირო მასალები.

მხოლოდ მოკლედ ვიტყვით, რომ თუ სამოციან და ოთხმოციან წლების საქართველოს მესაიდუმლე და წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე—90-იან წლების შემდგომი ნახევარ საუკუნეზე მეტი ისტორიული ტალღის მწვერვალზე იდგა ნ. ჟორდანია მას ისე. როგორც მის წინა მეთაურებს, ბევრი ყავდა მოწინააღმდეგე, მომხრეც, კრიტიკოსებიც და ენის შეუბრუნებლად მიმდევრებიც. ის უმრავლესობაშიც იყო თავის პარტიაში. უმცირესობაში დარჩენაც განიცადა. მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია ყოველი დიდი პიროვნებისათვის.

მთავარია ის, რომ ნ. ჟორდანია მუდამ და უდავოთ ითვლებოდა ლიდერათ. ითვლებოდა იმიტომ, რომ ალ ღო აღ ღო ცხოვრების ახალ პირობებს, განახლებისა ქარის მძლავრ ქროლვას და მესაჭეთ მოევლინა საქართველოს ხომალდს ამ დიდი ქარტეხილის, რევოლუციებისა და რეაქციების დაუდგრომელ ხანაში, როცა ცხოვრება ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობამდე ქანაობდა, რევოლუციური გეტაცებიდან, რევოლუციურ ილლიუზიებამდე. ხოლ ო რეაქციის ცივი ქროლვიდან—უიმედობის და პესიმიზმის ღრმა ჭაობამდე.

ძნელი იყო ასეთ პირობებში საზოგადოებრივ გემის სისწორით და უცდომელად ტარება. მაგრამ ნოე ჟორ დან ია—ჰქონდა ერთი დიდი თვისება. მას სწამდა, რომ სწორი გზით მიყვებოდა ცხოვრებას, სწამდა ღრმათ. და არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა. და რაც მთავარია,—ის იყო თავგამეტებული მებრძოლი, შემტევი. მომგერიებელიც.

ასეთსავე იმედს უნერგავდა ის იმ პარტიას, რომლის დამაარსებელი ის იყო. ასეთ იმედს უნერგავდა მთელს ერს რომელმაც ის პარტიის მეთაურობიდან ერის მეთაურობაზე გადაიყვანა.

საქართველოს სოციალდემოკრატიას, მთელ ქართველ ერს შეუძლია იამაყოს, რომ ასეთი შვილი გამოზარდა. ეს თვით ამ ერის ისტორიული მაღალი კულტურულობის. მისი ბრწყინვალე მომავლის, მისი უკვდავების დასაბუთებაა!

დიახ, ნოე ჟორდანია პარტიასაც ამშვენებს და აძლევს იმედიან პერსპექტივებს, რომელიც მის სახელ თან განუყრელათ არის დაკავშირებული და მთელ ქართველ ერსაც!

რ. არსენიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ცხოვრობდა და მუშაობდა ნოე!

როგორც ნოე სწერდა თავის წიგნში: «ჩემი წარსული», ჩვენი ეკონომიური შესაძლებლობა მისი პრეზიდენტობის დროს იყო ძალიან განსაზღვრული. მახსოვს, ერთხელ, როცა ჩვენ სადღაც მივდიოდით, შემომხედა და გულდაწყვეტით მითხრა: ისე ხარ ჩაცმული, რომ შენ შემხედავს—მზარეული ქალი ეგონებიო. მაგრამ ტანისამოსი ხომ ციდან არ ცვივა! საქართველოს სამი წლის დამოუკიდებლობის დროს მე ვერ შევძელი ერთი კაბა მეყიდა. და საფრანგეთშიც ისე ჩამოვედით, რომ არც ერთი გროში არ გვქონდა შემონახული. კიდევ კარგი, რომ თბილისიდან წამოსვლისას თან წამოვიღე ბალიშები და საბნები, რომლებიც ნოეს დის, გულჩინას შეკვეთით დაგვიმზადეს ლანჩხუთელ მა ქალებმა!

უცხოეთში,—სანამ პილსუდსკი იყო ცოცხალი, პოლონეთის მთავრობა გვეხმარებოდა და გვქონდა ცოტათ თუ ბევრათ განსაზღვრული ბიუჯეტი. მაგრამ იმდენი საშვალება კი არ მოგვეპოვებოდა, რომ ბავშვები საზაფხულოდ წაგვეყვანა სადმე დასასვენებლად. ბავშვები ხშირად ავათმყოფობდენ ზამთრობით, და ანდრეიკას(უფროსი ვაჟის) გარდაცვალების შემდეგ, მე ძალიან მეშინოდა მათაც არაფერი დამართოდათ.

ჩვენ ვცხოვრობდით ქალაქ გარეთ—სენ მორში, სადაც გვქონდა ბინა დიდი ბაღით. ნოე სულ მეუბნებოდა, ახლა ჩვენ ალარ დაგვჭირდება სადმე სააგარაკოთ წასვლაო. მაგრამ მე გადავწყვიტე, რათაც უნდა დამჯდომოდა, მომეხერხებინა ნოეს და ბავშვების წაყვანა მთაში. ამისთვის ათი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს ვაწყობდი პატარა საზაფხულო პანსიონს, ვშოულობდი პანსიონერებს, და ეს საშვალებას გვაძლევდა ჩვენც აგარაკზე მთებში გაგვეტარებია ზაფხული.

სენ მორში ნოე ხშირათ ავათმყოფობდა. ერთხანს თითქმის მთელი წელიწადი იწვა ლოგინში. სიარულიც კი ეძნელებოდა. ორი პატარა ბავშვი გვყავდა ერთი—ერთი წლისა და მეორე—სამი წლისა, მესამე—უფროსი ქალიშვილი ასმათი—(ატია) სასწავლებელში დადიოდა და თან ოჯახშიაც ნოეს და ბავშვების მოვლაში მეხმარებოდა.

ნოეს გულის ავათმყოფობას წამლობდენ ექიმები. მაგრამ გაუმჯობესება არ ეტყობოდა. ბოლოს ნოემ მიმართა გულის ავათმყოფობის ერთ დიდ სპეციალისტს. და ჩვენდა გასაკვირველად მისგან ასეთი პასუხი მიიღო: «თქვენ გული ჯანმრთელი გაქვთ, მაგრამ ავათ ხართ სელულიტით, რომლის მორჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა შეუძლია მხოლოდ ერთად ერთ ექიმს—(გვარი არ მახსოვს), რომელმაც აღმოაჩინა ეს ავათმყოფობა» ო. თავის მხრივ ურჩია წასულიყო სამკუნალო წყლებზე. ნოემ ეს რჩევა მიიღო და ექიმობდა ამ წყლებზე ათი წლის განმავლობაში. ხარჯებს მეგობრულათ გვიხდიდა დაუვიწყარი იოსებ ელიგულაშვილი.

უმისოთ ნოე ექიმობას ვერ შესძლებდა, მით უმეტეს, რომ პილსუდსკის გარდაცვალების შემდეგ არავითარი განსაზღვრული ბიუჯეტი არ გვქონდა. ომის დროს საზაფხულო პანსიონის გაწყობაც შეუძლებელი გახდა და ჩვენ აღარ შეგვეძლო დასასვენებლად სადმე წასვლა. მე მივაშურე ისევ ლევილს, სადაც მოგვიზომეს 1500 კვ. მეტრი საბოსტნე ადგილი. პირველ წელს გვეხმარებოდა კოლია ნიქარაძე, შემდეგ კი გადავედით გიორგი ერაძის განკარგულებაში და მან მოგვიჩინა მომუშავეთ გიორგი ქლენტი, რომელიც კვირაში ერთ დღეს მუშაობდა ჩვენს ნაჭერ მიწაზე.

მოგვყავდა ქართოფილი, ლობიო და სიმინდი, ვაკეთებდით ფქვილის ღომს და ეს იყო ჩვენი მთავარი საზრდო. ნოე ამბობდა გ. ერაძე არის ჩვენი მარჩენელიო. მე თვითონ ნაც დავდიოდი ლევილში სამუშაოდ, პარიზის გარეუბან ვანვიდან, სადაც ვცხოვრობდით. ზოგიერთი ამხანაგი არ იყო კმაყოფილი იმით, რომ ნოეს ვტოვებდი მარტო. მაგრამ თუ მე არ მიმეხედა ლევილში ჩემი ბოსტნისათვის, ჩვენი საქმე რიგიანათ ვერ წავიდოდა.

ტანისამოსის საყიდელი ფული არ გვქონდა. მაინც ძალიან ვცდილობდი დამერწმუნებია ნოე, რომ მისთვის საჭიროა ერთი საზაფხულო პალტო,—მრცხვენოდა უცხოელების, რომლებსაც ის თავის ძველ პალტოში ხვდებოდა,—მაგრამ მან არ მიიღო ჩემი რჩევა: «მე ახლა იმ ასაკში ვარ, რომ ტანისამოსი აღარ მაინტერესებსო».

შინ, ოჯახში ის თვითონ ალაგებდა თავის ოთახს და ანთებდა ღუმელს. როცა ჩემ სახეზე ამჩნევდა სიბრალულის გრძნობას—ღიმილით მეუბნებოდა: «კარგი აზრები სწორეთ ოთახის დაგვის დროს მომდის თავში»-ო». შეიძლება ეს ხუმრობაც არ იყო! ამბობენ ხელებით მუშაობა ანვითარებს ადამიანის ტვინსა და გონებასო და ამიტომ აქვთ გლეხებს «საღი გონებაო».

ერთხელ შევედი ნოეს ოთახში და ვხედავ, რომ ის გრეხს თავის ნაწერების შავს და ყრის ბუხარში ცეცხლის გასაჩაღებლად. «რას შვრები ამას—შევძახე მე—განა არ იცი, რომ ეს ხელნაწერები დიდი ისტორიული ღირებულებისაა?» და ასე გადავარჩინე ბევრი რამ დაწვისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი გულის მდგომარეობის გამო მე არ შემეძლო ოჯახის ყველა სამუშაოს გაკეთება. და ნოე მეხმარებოდა. ჯანმრთელობის მხრივ ხომ ისიც მოისუსტებდა! და მხოლოდ რეგულიარული ცხოვრების წესების დაცვით და მტკიცე ხასიათით შესძლო მან იმდენ ხანს შეენარჩუნებია სიცოცხლე.

ნოეს სამჯერ-ოთხჯერ გამოაჩნდა ჭლექის ნიშნები. მხოლოდ 1922 წელს განიკურნა სავსებით ამ საშინელი სენისაგან ექიმ მანიუხინის წყალობით. ხშირად ცივდებოდა ერთი ოთახიდან—მეორეში გადასვლის დროს (ომის დროს ჩვენ არ შეგვეძლო მთელი სახლი გაგვეთბო, ცენტრალური გათბობა კი მალე გაფუჭდა). როცა თავს კარგათ გრძნობდა, ნოე ყოველგვარ ამინდში დღეში ორჯერ მიდიოდა სასეირნოთ. შინაც მეხმარებოდა ოჯახში, თვითონ ყიდულობდა სურსათ-სანოვაგეს, აწყობდა და ალაგებდა სუფრას. ხან იმასაც ცდილობდა, რომ თავის პერანგები თვითონ გაეუთოვებია, მაგრამ მე უშლიდი, მეშინოდა არ დაეწვა.

წერდა ის ყოველთვის საღამოს ხუთი საათიდან შვიდამდე. მის მაგიდაზე არ ეწყო არც წიგნები, არც გაზეთები. მასალას ის ამზადებდა წინდაწინ. მახსოვს, როცა ნოე პირველად გავიცანი, ის მეუბნებოდა: «მე მჭირდება მხოლოდ კალამი და ქაღალდი, სხვა არაფერი» ო. იმ დროს ის იყო 35 წლის. მაშინაც დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა თავის ნაწერებს. ერთი თავის სტატია მან ხუთჯერ გადაწერა. საერთოდ წერა იყო მისთვის ისეთივე ორგანიული მოთხოვნილება, როგორც საჭმელ-სასმელი. მას ესმოდა ის, რაც უნდა დაეწერა, თითქოს ვიღაც უკარნახებდა გარედან. მოზღვავებული აზრები არ აძლევდენ მოსვენებას და მხოლოდ, როცა თავის აზრებს ქაღალდზე გადაიტანდა, მაშინ დამშვიდდებოდა. შემოქმედება იყო მისთვის უდიდესი კმაყოფილება. როცა სტატიის წერას გაათავებდა, ჩამოვიდოდა ჩემთან სახე-გაბრწყინებული, განათებული თვალებით.

ყველაზე მეტათ უფრთხოდა მრავალსიტყვიანობას და მეორე დღეს იწყებდა დაწერილის მოწურვას, შემოკლებას, მიუხედავათ ჩემი პროტესტებისა. თავის სტატიებში ბევრი გამოთქმები შეჰქონდა თავის დედისგან მოსმენილი. მთელი 30 წლის გადმოხვეწილობაშიაც ის მუდამ გრძნობდა ღრმა კავშირს თავის ერთან.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობდით საქართველოზე, მის მომავალზე. ბევრი რა შეუძლია პატარა საქართველოს?—შევეკითხე ნოეს: «ათენა იყო მხოლოდ ერთი ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაცია»-ო—იყო მისი პასუხი.

ინნა ჟორდანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დეპეშები და წერილები.

ბიუნსენიდან (დეპეშა).

პროფესორები: მ. წერეთელი, მ. ახმეტელი, ვ. ნიკურაძე და ნ. ნიკურაძე ვუერთდებით საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გადაცვალების ათი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სამოქალაქო პანაშვიდს.

ნ. ნიკურაძე.

ამერიკიდან (დეპეშა).

საქართველოს დამოუკიდებლობის ამერიკული საბჭო—ერდგული ნოე ჟორდანიას იდეების და მის მიერ დატოვებულ საქმის—მისი გარდაცვალების 10 წლის თავზე იგონებს დიდი სახელმწიფო მოღვაწის და დამოუკიდებელ საქართველოს დამაარსებლის—ხსოვნას.

თავმჯდომარე ის. გაჟონია.

გერმანიიდან (დეპეშა).

პატივით ვიგონებთ საქართველოს პირველ პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას და მუხლს ვიდრეკთ მისი ხსოვნის წინაშე.

«თეთრი გიორგის» სექცია გერმანიაში:

ცხოველიძე.

ძვირფასო თანამემამულენო!

სამწუხაროდ ვერ მოხერხდა საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ათი წლისთავის აღსანიშნავად და განსვენებულის ხსოვნის საპატივცემოდ მოწვეულ კრებაზე დასასწრებლად დელეგატი გამოგვეგზავნა და ამიტომ წერილობით მოგმართავთ, რათა გაუწყოთ, რომ თქვენთან ერთად თაყვანისცემით მოვიხსენიოთ განსვენებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია.

ქართველი ერი თავისი ხანგრძლივ ისტორიაში ხშირად ყოფილა დამოკიდებული და დაპყრობილიც უცხო ქვეყნებისაგან, მაგრამ მისი სახელმწიფო ყოველთვის არსებობდა და მას სახელმწიფოს სუვერენი, ძეფე, არასდროს არ დაუკარგავს.

მხოლოდ მე 19 საუკუნის დროს საქართველო რუსეთმა დაიპყრო, გაუქმდა მისი სახელმწიფო და დაჰკარგა სუვერენობა. საქართველოს ანექსიით რუსეთმა In ll-grant (საყოველთაოდ ცნობილი) უხეში ძალით ვერაგულად დაარღვია 1783 წ. ხელშეკრულება.

ამიერიდან ეს ხელშეკრულება ქართველი ერისათვის იურიდიულად Nihil et nullus (უქმი და არარსებული) იყო. ამიტომ, ამის შემდეგ ამ ხელშეკრულების გამოყენება, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბუთისა საერთაშორისო სამართლის—საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის უფლებისათვის—იყო აბსურდი. ის გამოდგებოდა მხოლოდ როგორც ისტორიული საბუთი დასამტკიცებლად რუსეთის ვერაგობისა და რომ მისთვის უფლება და სამართალი მხოლოდ უხეში ძალაა.

ამიტომ, მას უკან, როცა რუსეთმა საქართველოს სახელმწიფო გააუქმა, ქართველი ხალხის ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლა იყო არა იმ ხელშეკრულებით დადგენილ რუსეთთან ვასალური დამოკიდებულების აღსადგენად, არამედ ამ ხელშეკრულების წინად არსებულ სახელმწიფო მდგომარეობისა, ე. ი. ქართველი ხალხის სრული დამოუკიდებელ-სახელმწიფოებრივ სუვერენობისა.

1832 წ. შემდეგ ბრძოლა მინელდა. ამის მთავარი მიზეზი იყო, რომ ფიზიკურად და მატერიალურად დასუსტებულ ერს, გაჯანსაღებისათვის დრო სჭირდებოდა. სულიერად კი არ გატეხილა. მას მოევლინენ მესვეურნი, მეველენი, რომელნიც პოლიტიკურად და კულტურულად გზას უკაფავდნენ.

მე-19 საუკუნის დამლევს ხალხი უკვე საკმაოდ მოღონიერდა და ბრძოლის უნარიც განუმტკიცდა.

აი ამ დროს წარმოიშვა ის პოლიტიკური მიმართულება, როსელსაც განსვენებული პრეზიდენტი მეთაურობდა. ამ მიმართულებამ შესძლო მოკლე ხანში ხალხის დიდი უმრავლესობის თავის რიგებში შემოკრეფა; მოახდინა მებრძოლთა ძალების მობილიზაცია და ხალხი რევოლუციური ბრძოლისათვის დარაზმა. ეს ბრძოლა მიმართული იყო არსებულ რუსეთის თვითმპყრობელ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნულად, პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიურად ჩაგრავდა. რადგან სოციალდემოკრატიული პარტია ხალხის დიდ უმრავლესობას აერთიანებდა და ის ერის უფლებისათვის აწარმოებდა ბრძოლას, ის უსათუოთ იყო თავის შინაარსით ეროვნული პარტია და აუცილებლად ის უნდა გამხდარიყო ხალხის ეროვნულ მიზანთა განმახორციელებელი. ასეც მოხდა!

ისტორიული აუცილებლობის კანონით ეუ მოვლენათა წყალობით საქართველოს სახელმწიფო კვლავ აღსდგა. და საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია იყო რომ ეს განახორციელა და მისი მეთაური ნოე ჟორდანია იყო ამის აღმასრულებელი და მან ამცნო ეს ისტორიული აქტი მსოფლიოს.

საქართველოს სახელმწიფო აღსდგა რესპუბლიკის სახით და ის ემყარებოდა მთელი ერის ნებისყოფას.

მისი პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია იყო! ეს თავისთავად იყო აუცილებელი, რადგან მას შემცილებელი არ ყავდა. ვფიქრობთ, ისტორიაში არ არის სხვა მაგალითი—სახელმწიფოს მეთაური ისეთი ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ ყოფილიყოს არჩეული, როგორც ნოე ჟორდანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მოკლე დროს, რაც საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა, ქართველმა ხალხმა გასაოცარი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სიმწიფე გამოავლინა, თუმცა ის საუკუნეზე მეტი მოკლებული იყო საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. მთელი ხალხი გასაოცარი დისციპლინით დაემორჩილა დადგენილ წესებს და შეუდგა მუშაობას.

მოკლე ხანში საქართველოს სახელმწიფო ცხოვრება იყო მრავალ უცხო სახელმწიფოს მიერ და მან კვლავ დაიკავა ადგილი განათლებულ სახელმწიფოთა შორის; ის კვლავ დაუბრუნდა უშუალოდ ევროპას, რომელთანაც კავშირი მეთუთხმეტე საუკუნეში დაირღვა. ეს პროცესი საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა უეცრად შეწყდა რუსეთი იმქამად ლენინის რუსეთი, ვერაგულად თავს დაესხა საქართველოს და ის კვლავ დაიპყრო, მიუხედავათ თავდაუსხმელობის პაქტისა მასთან. დაიწყო ქართველი ხალხის უსაზღვრო ტანჯვა და წამება, რომელიც დღემდი გრძელდება.

ზოგიერთი დასავლეთელი პუბლიცისტი და პოლიტიკოსი გამოთქვამდა ხოლმე აზრს, რომ თითქო საქართველოს დაღუპვის მიზეზი ქართველთა სახელმწიფოებრივი უუნარობა იყო. ეს უვიცი და ტუტუცი აზრი თვით ცხოვრებამ უარყო. რამდენი სახელმწიფო დაიპყრო მასუკან რუსეთმა და რამდენი გაიხადა მან თავის ყურმოჭრილ ვასალებათ?! ბევრი მათგანი უბრძოლველადაც! ქართველმა ერმა კი ბრძოლებით და ურიცხვი მსხვერპლით დაამტკიცა ეროვნული სულიერი ძლიერება.

განსვენებული პრეზიდენტი ერთხელ ბრძანებდა: თუ შეგვეკითხებიან რა მოგაქვთო,—ვუპასუხებთ: ორი ათასი წლის ისტორია. შემდეგში უცხოეთში დარჩმუნდა, რომ, თურმე, როდია ასეთი ისტორიული საბუთი საკმარისი!.. საერთაშორისო პოლიტიკაში გადამწყვეტი ყოფილა მიზანშეწონილობა და Sacro egoisme (წმიდა ეგოიზმი) და არა მარადი პრინციპები სამართლიანობისა და უფლებისა! ამიტომ, როგორც ვეცნობით განსვენებულის მოგონებებიდან, ის გულდაწყვეტილი გასცილდა ამა ქვეყანას, მაგრამ არა გულგატეხილი, რადგან მას ასულდგმულებდა რწმენა თავისი ერისადმი, რომ მას ვერ გატეხს ბედის უკუღმართობა და რომ ოდესმე ის მაინც გაიმარჯვებს. მას სწამდა, რომ განათლებული კაცობრიობის მიერ აღიარებული და დადგენილი პრინციპები—ადამიანის და ერის თავისუფლების შესახებ—ოდესმე ქართველი ხალხისათვისაც განხორციელდება. ამის დასტური არის ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ორივე ერთხმად მიღებული დადგენილება 7 ივლისს 1959 წ. დაპყრობილ ერთა შესახებ, სადაც სხვა ერებთან ერთად საქართველოც არის მოხსენებული და ნათქვამია, რომ ქართველ ხალხს აქვს უფლება აღიდგინოს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განსვენებულმა პრეზიდენტმა იცოდა, რომ ისტორიულად აუცილებელია რუსეთის იმპერიის დამსხვრევა და—ეპოქაში ერთა განთავისუფლებისა, კოლონიალიზმის მოსპობისა, უდიდესი პოლიტიკური და სოციალური გარდატეხებისა, შეუძლებელია იარსებოს რუსეთის კოლონიურმა იმპერიამ თავისი ტირანულ-მონური რეჟიმით. ის უსათუოდ დაინგრევა და ახლა მის ფარგლებში მოქცეული ერები განთავისუფლდებიან. ეს მხოლოდ დროს საკითხია!..

ეროვნული უფლების საკითხში განსვენებული უკომპრომისო იყო და არავითარ გადახრას ან დათმობას ვერ ითმენდა. განსვენებული პრეზიდენტი უცხოეთშიც ჭეშმარიტად თავისი დაჩაგრული ერის სახელმწიფო მეთაური იყო!

დღეს საქართველო დაპყრობილია რუსეთის მიერ და ქართველი ხალხის ბრძოლა არის არა მარტო პოლიტიკური, არამედ პირველყოვლისა ეროვნული, ე. ი. საქართველოს განთავისუფლება უცხო, რუსული, ოკუპაციისაგან. ქართული ემიგრაცია იყო და არის ეროვნული ემიგრაცია, ხალხი, რომელიც უცხო ქვეყნის ხელისუფლებამ განდევნა სამშობლოდან ანდა აიძულა სამშობლო დაეტოვებინა. რუსეთის ემიგრაცია კი არის მხოლოდ პოლიტიკური ემიგრაცია. ის თავისივე ხალხმა გააძევა ქვეყნიდან და მაშასადამე ის არ წარმოადგენს რუსეთის ხალხს. საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა იძულებული იყო თავისი ქვეყანა დაეტოვებინა რუსეთის შემოსევის და ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო. ამიტომ ნოე ჟორდანია და მისი მთავრობა საქართველოს სახელმწიფოს წარმოადგენდა.

საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და მისი სამი წლის დამოუკიდებელი არსებობა იყო ნოე ჟორდანიასთვის ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მიზნის განხორციელება და ერის ნებისყოფის გამოსახვა და უცვლელი დადგენილება. ის როგორც პრეზიდენტი იყო დამცველი სახელმწიფო კონსტიტუციის და მედგრადაც იცავდა.

ღირსეული პატივისცემა მისი ხსოვნისა ის იქნებოდა, რომ პოლიტიკურმა ემიგრაციამ მედგრად განაგრძოს ეროვნული საქმიანობა და შეუპოვრად დაიცვას ერის უფლება უცხოეთში. არა პოლიტიკანობა, არამედ პოლიტიკური საქმიანობა!... ეს არის პოლიტიკური ემიგრაციის მოვალეობა!

შესაძლებელია სვლა სხვადასხვა გზებით, მაგრამ მიზანი აუცილებლად ერთი უნდა იყოს—საქართველოს განთავისუფლება უცხო დამპყრობელისაგან და საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და ამისთვის უცხო მეგობართა და დამხმარეთა პოვნა. ყველაფერი იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ქართველ ხალხს ღირსეულად ვემსახუროთ.

დადგება დრო და ხალხი ყოველ ჩვენგანს სათანადოთ შე-

302 ZS

საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფასებს! ის დროც მოვა, როცა მშობელი მიწა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ცხედარს მიიბარებს!

საუკუნოდ იქნება ხსენება საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიასი!

დიდება საქართველოს!
გაუმარჯოს ქართველ ერს!
გაუმარჯოს ადამიანთა და ერთა თავისუფლებას!

გერმანიის ფედერატიულ რესპუბლიკაში მცხოვრებ
ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე:
ნიკო ნაკაშიძე.

ძვირფასო თანამემამულენო!

დღეს ქართველობა აღნიშნავს ჩვენი პრეზიდენტის ნოეს გარდაცვალების დღეს! 1953 წლის იანვრის თერთმეტს, ღამის სამ საათზე, უცხო მიწაზე, პარიზში, მან სამუდამოთ დახუჭა თვალები. წავიდა ის ამ ქვეყნიდან. მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს მისი ანდერძი. ანდერძი, რომელიც ჩვეულებრივ ქაღალდზე, ჩვეულებრივი კალმით არ არის დაწერილი მისი ანდერძი არის მისი ცხოვრება, ხოლო მისი ცხოვრებიდან გამომდინარე ანდერძის დედააზრი არის უბრალო, ყველასათვის მისაღები. მაგრამ ის არ არის უბრალო უბრალოება, არამედ უბრალოება, რომელიც ცხოვრების, ყოფიერების ულრმესი ფესვების შესწავლის, ანალიზის, გარკვევის შედეგია. და ეს უბრალო ანდერძი ამბობს: იყავ მარგი ადამიანთა! იმოქმედო ამ მრწამსით არის უბრალო და რთული ერთდროულად: უბრალოა იმიტომ, რომ ის ყოველი ადამიანის სიყვარულს ეყრდნობა. რთულია იმიტომ, რომ ადამიანმა ამ ჰუმანური პრინციპით მოქმედება რომ შესძლოს, მან უნდა ჩაკლას თავისთავში უსაშინელესი მტერი ადამიანთა მოდგმისა —ეგოიზმი. ვინაიდან ეს ადვილი საქმე არ არის, ადამიანი, რომელიც ამ საშინელ მტერს, ეგოიზმს, თავისთავში სძლევს, პირველად მაშინ იკაფავს გზას სრულყოფილებისაკენ.

მაგრამ იყო მარგი ადამიანთა—ეს კიდევ არ არის სრულყოფილება. უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს ადამიანისაგან თუ ის ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, ან, თუ გნებავთ, კლასის მარგებლობით კი არ კმაყოფილდება, არამედ მათ აგვირგვინებს მრწამსით: იყავ მარგი ერისა! ემსახურო ერს ამ შეკნებით, ამ მრწამსით, ნიშნავს ამაღლდე იმ დონემდე, რომელზედაც ასვლა ყოველ ადამიანს არ ძალუძს. არ ძალუძს არა იმიტომ, რომ ყოველ ადამიანს ეს არ სურს. არა! არ ძალუძს, ვინაიდან ამ დონემდე ამაღლება ადამიანისაგან მოითხოვს დიდ მსხვერპლს. ამიტომ ბედნიერნი არიან ისინი, რომელთა მთელი თავისი ძალღონე შესწირეს თავისი ერის კეთილდღეობას. და ერთი ასეთი პიროვნება «ქართლის ცხოვრებაში», მიმდინარე საუკუნის მიჯნაზე, არის ჩვენი პრეზიდენტი ნოე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რატომ იქცა მისი ცხოვრება ჩვენს ანდერძათ? იმიტომ, რომ ის ჩაწვდა ჩვენი ერის სამიათასწლოვან ისტორიის ეროვნულ ფესვებს. შეისწავლა, გააანალიზა, გაარკვია იგი და ჩამოაყალიბა თავის შრომებში, რომლებიც გახდა ახალი საქართველოს ეროვნულ აღორძინების, განახლების, ისევ აღდგომის საფუძველი. მაგრამ მარტო თეორიით არ დაკმაყოფილებულა იგი. თეორია-პრაქტიკა, პრაქტიკა-თეორია იყო მისთვის იმ დიალექტიკური პროცესის დედაბოძი, რაზედაც აშენდა ახალი საქართველოს ეროვნული სიმბოლო—26 მაისი! შემთხვევითი მოვლენა არ არის ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში, სხვათაშორის, ცხადათაა ნათქვამი: «საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის საშოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა». აქ ნათლად მოსჩანს მისი ანდერძი: იყავ მარგი ერისა და ეს უმაღლესი ფორმა სრულყოფილობისა ისევ უბრუნდება მის პირვანდელ უბრალო საწყისს: იყავ მარგი ადამიანთა.

და აი ეს დიადი ჰუმანიტარული იდეა, რომელიც ჩვენი პრეზიდენტის, ნოეს, ცხოვრებამ გვიანდერძა, გვიჩვენებს გზას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში და გვაძლევს გზას—ვიყოთ მარგი ერისა, ვიყოთ მარგი ადამიანთა! დიახ, ეს არის ის დიდი ჩირაღდანი, რომელიც ჩვენი ერის მომავალი თაობისთვისაც ისეთივე გზის მაჩვენებელი იქნება, როგორიც არის დღეს ჩვენთვის «ერისა და პიროვნების თავისუფლების» საკაცობრიო იდეებისათვის ბრძოლის საქმეში!

იყავ მარგი ერისა, იყავ მარგი ადამიანთა!

დიდება ქართველ ერს, რომელმაც შვა ისეთი შვილი, რომლის ცხოვრება ჩვენი ერის ასეთ ეროვნულ ანდერძათ იქცა!

დიდება პატარა საქართველოს დიდი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას, სახელს!

რადიოსადგურ «თავისუფლების»
ქართული რედაქცია:
ვ. ინასარიძე
დ. ურატაძე
ი. ვუჭუხიძე.

ლონდონიდან.

განსვენებული ჩვენი პრეზიდენტი გახლავთ ის დიდი ისტორიული პიროვნება, რომელმაც მკვდრეთით აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, ააფრიალა ეროვნული დროშა, შექმნა თავისუფალი სახელმწიფო, აღიარა და მიიღო ცნობა ყველა ევროპიულ სახელმწიფოების. უარყო დამონავება-ოკუპაცია ველურ რუსეთის და გაიხიზნა სამშობლოდან უცხოეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიის სახელით მოგახსენებთ რომ სულით, გულით და დაუვიწყარი სიყვარულით ვართ გარემოცული თქვენთან ერთად ამ გლოვის დღეს მისი სახელის წინაშე!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების ათი წლის თავის აღნიშვნას დიდ ბრიტანეთში მყოფი ქართველთა სათვისტომო უერთდება ულრმესი მწუხარებით, გლოვით და თანაგრძნობით.

ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარე:

ალ. ყიფიანი.

მადრიდიდან.

თანახმათ თქვენმიერ მოცემულ ცნობისა, 13 იანვარს მორიგ წლისას წირვის დამთავრებისას გარდავიხდიგულ მოდგინებითა და მოწიწებით პანაშვიდს მოსახსენებელ. ... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვან პრეზიდენტის ნოე ჟორდანიის ათი წლის გარდაცვალებისა გამო. მოხმობილ იქნებიან ყველა მადრიდში მცხოვრებნი ქართველები.

პირადათ მე დიდის სიამით ვიგონებ ჩვენი ქვეყნის თვითმყოფობის მედგარ დამცველს ნოე ჟორდანიას და მიწყივ ვევედრები უზენაეს განგებას სამშობლოს გათავისუფლებისათვის ამ უღვთო და უცხო რუსულ ბოლშევიზმისაგან.

ჩემი სიყვარული და თანაგრძნობა ყველა თქვენთვის, რომელნიც სულითა და გულით ემსახურებით ჩვენს, დღეს დუხჭირ მდგომარეობაში მყოფ, შევიწროებულ სამშობლოს!

დეკანოზი რაფიელ ინგილო.

არგენტინიდან.

დღევანდელ დღეს, დამოუკიდებელ საქართველოს პირველი პრეზიდენტის და ეროვნული მთავრობის თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე, არგენტინის ქართველობის და პირადათ ჩემის სახელით ხება მომეცით განვაცხადო, რომ ჩვენ ამ ძვირფას ნოეს სახელის გარშემო ვიკრიბებით დღესაც ძველის, გაუტეხელის რწმენით და ჩვენის ქვეყნის საბოლოო გამარჯვების იმედით, და კვლავ ვიმეორებთ აღთქმას,—რომ 26 მაისის დროშას,—რომელიც ქართველმა ერმა ამ 45 წლის წინ გამარჯვებით და ღირსებით აღმართა და თავისს ეროვნულ მთავრობას იმედით და სასოებით ჩააბარა,—მომავალშიაც მტკიცედ დავიცავთ და მტრებს არ დავანებებთ... რომ დღესაც შეუდრეკელად გვჯერა, რომ ეს დროშა ჩვენი ეროვნული აღდგომისა, ერთხელაც იქმნება. კვლავ მთლიან და თავისუფალ საქართველოს სასახლეზე აფრიალდება...

დეე, ჩვენის მთავრობის ყოფილ წევრთა და საუკეთესო მამულიშვილთა მტკიცედ შეკრული რიგები, რწმენა და აღთქმა იყოს ამ დღეს ქართველი ერის გვირგვინი,—ჩვენი დაუვიწყარის, პირველი პრეზიდენტის, ნოე ჟორდანიას საფლავზედ მიტანილი...

აკაკი პაპავა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამერიკიდან.

როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღმდგენელი, როგორც დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი საქართველოს რესპუბლიკის, როგორც ხალხის მისწრაფებათა გამომხატველი, თავისუფლად არჩეული მთელი ერის უდიდესი უმრავლესობისაგან—ნოე ჟორდანია გახდა განუყოფელი რგოლი საქართველოს ისტორიის.

როცა მე 19 საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთის ოკუპაციის ქვეშ მოექცა, ოკუპანტების პირველი საზრუნავი გახდა საქართველოს სახელის აღმოფხვრა გეოგრაფიული ქარტიდან და მისი შეცვლა ადმინისტრატიული ოლქების და გუბერნიების სახელით. მაგრამ არც ქართველმა ხალხმა, არც გარეშე ქვეყანამ არ დაივიწყა «საქართველოს» სახელი და იგი, როცა დრო დაუდგა, ისევ აღსდგა 117 წლის ოკუპაციის შემდეგ.

საქართველოს დღევანდელმა დამპყრობელებმა, მართალია ფორმალურათ შეუნარჩუნეს მას სახელი, მაგრამ ცდილობენ ამოფხვრან ხალხის მეხსიერებიდან მისი დამაარსებელის ხსოვნა და მოგონება თავისუფალ და დამოუკიდებელ რესპუბლიკის არსებობის დიადი ეპოქისა. მაგრამ ეს ცდებიც ისევე წარუმატებლად დათავდება, როგორც დამთავრდა ასიმილიაციის პოლიტიკა პირველი დამპყრობელის. ისტორიული სიმართლე გზას გაიკაფავს და ეროვნული თავისუფლება აღდგება. ეს ჩვენ გვწამს, ეს სწამს ამერიკის საზოგადოებრივობასაც.

მთავარი რედაქტორი U. S. News ის, ცნობილი მთელ მსოფლიოში, რომელიც 1½ მილიონი ეგზემპლიარი იბეჭდება, ასე სწერს 1963 წლის 21 იანვრის ნომერში:

«თუმცა დაჩაგრული ხალხები ხანდისხან სასოწარკვეთილებაშიც ვარდებიან, მაგრამ საბოლოოთ იმედი მაინც ულვივით გულში—მაინც აქვთ შერჩენილი რწმენა, რომ აუცილებლათ დადგება დესპოტიზმისაგან განთავისუფლების დღე. თვით საბჭოთა იმპერიაშიაც მოელიან იგიხი თავის გამოხსნას».

და ჩვენ დავუმატებთ მიაღწევენ კიდეც თავის მიზანს. ისტორიის კანონი გარდავუალია საბჭოთა რუსეთისთვისაც!

ი. გოლდშანი.

ამერიკიდან.

ნიუ ორკი.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც უცხო მიწამ მიიბარა, ვიმედოვნებთ დროებით, საქართველოს დიდი შვილი—საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე ჟორდანია. მისი 60 წლის ბრძოლა იყო ქართველი ერისადმი ერთგული სამსახური... ჯერ ის გამოვიდა გარკვეული სოცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალური პროგრამით—მშრომელთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,—რათა შესაძლებელი ყოფილიყო საქართველოს დემოკრატიის ორგანიზაციულად დარაზმვა—იმ სანატრელ დროისთვის, როცა შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ასეც მოხდა.

მის მიერ დაარსებული სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის რიგები შეკრული დისციპლინით—გახდა საუკეთესო იარაღი პირველ ხანებში ქვეყნისთვის ანარქიის ასაცილებლად და შემდეგ მისი მყარე დასაყდენი.

დღეს, როცა ერმა დაჰკარგა თავისუფლება, ქართველი ერის მეთაურის სახელი კვლავ დარჩა, როგორც მანათობელი ვარსკვლავი ეროვნული ბრძოლის, მისი გზის მაჩვენებელი. თითეული ქართველი პატრიოტის ვალია შეასრულოს მისი ანდერძი,—იდგეს ერთგულად ეროვნულ საქმის სადარაჯოზე!

პ. კვარაცხელია
ი. გაყოდნია
ლადო არველაძე.

პარიზიდან.

10 წელია რაც დავკარგეთ ერის ბელადი ნოე ჟორდანია, ვიგონებთ ჩვენთვის, ჩვენი პარტიისთვის ძვირფას ხელმძღვანელს და არ გვავიწყდება თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ქართველი ერის წინაშე. 60 წლის მანძილზე იგი სჭედდა ერის მომავალს, ნიადაგს ამზადებდა განახლებულ საქართველოს სახელმწიფოებრივ შენობის ასაგებათ. მან დარაზმა ბრძოლელი მასსები, ჩაუნერგა მათ თავისუფლების სიყვარული, შეკრა დისციპლინით, და როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა დაიყენა ისინი მის ერთგულ დამცველად.

მოგვტაცა რუსეთმა თავისუფლება. ქართველი ერის პრეზიდენტს იარაღი არ დაუყრია. სამი ათეული წლის მანძილზე კავშირი არ გაუწყვეტია სამშობლოსთან, უსაზღვრო იყო მისი სიყვარული საკუთარ მიწა-წყლის... ერთ დღესაც არ შესვენებულა მისი კალამი,—რომელიც ბრწყინვალეთ იცავდა ქართველი ერის კანონიერ უფლებებს, მრისხანებით იცავდა და იგერიებდა საქართველოს მტრებს. არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას რათა ქართველი ერის მოთხოვნილება არ წამოეყენებია...

ჩვენი ორგანიზაცია მუდამ იდგა მის გვერდში ერთგულად დარაზმული. ისე როგორც ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი არ შორდებოდენ მას არასდროს, ისე ჩვენ არასდროს დავშორებივართ მას და დღესაც, როცა იგი ჩვენთან აღარ არის—ვრჩებით მისი ხსოვნის, მის მიერ დატოვებულ საქმის ერთგული.

საქ. სოც.-დემ. პ. პარიზის ორგ. კომტეტის
თავმჯდომარე ვ. ჩუბინიძე.
მდივანი გ. ჟორდანია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ო ფ ლ ი ს ა ნ.

საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას გარდაცვალების 10 წლის თავზე—მისი პიროვნების მოგონებით— ჩვენ ერთხელ კიდევ ვიმეორებთ იმ ფიცს, რომელიც მას მივეცით განშორების უკანასკნელ დღეს—ვიყვეთ ერთგული მის მიერ დატოვებული საქმის.

თუ იგი დაგვშორდა ფიზიკურად, დარჩა ქართველ ხალხთან სულიერად და როგორც მანათობელი ვარსკვლავი გზას უნათებს ერის განმანთავისუფლებელ მოძრაობას, აძლევს მიმართულებას, უნერგავს ახალ თაობას იმედს და ურყევ რწმენას რომ კვლავ აღსდგება ქართული სახელმწიფო.

სოფლის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია.

ლ ი ო ნ ი ს ა ნ.

საქ. სოც.-დემ. პარტიის ქ. ლიონის ორგანიზაცია მუხლს იდრეკს საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ხსოვნის წინაშე. რომელმაც ახალ საქართველოს ახალი ერა შეუქმნა და ქართველ ხალხს თავისუფლების გზა გაუკაფა.

ყველა ქართველის გულში ჩაუქრობელია მისი სიტყვები: რწმენა ურყევი ერის თავისუფლების და გზა გაუხრელი მის მისაღწევათ.

რა უყოთ რომ ემიგრანტები ვართ და საქართველო რუსეთის მონობაშია, საქართველოს უნახავს ბევრი უნახავს დამარცხებაც და გამარჯვებაც. უცხოთა ბატონობაც და დამოუკიდებელი ცხოვრებაც. თუ ჩვენი თავისუფლების გზის მანათობელი ლამპარი არ ჩავაქრეთ, ჩვენც ვნახავთ საქართველოს თავისუფალს. მრავალი განთავისუფლებული ერების და მათ შორის ალჟირის მაგალითი ჩვენს თვალწინ არის.

საქართველოს ბედნიერებისათვის ბრძოლა ყოველგვარ პარტიულ მიმართულების გარეშე, ვიაროთ ერთად ერთი მიზნისკენ. არავის ჩვენთაგანს არ აქვს უფლება განზე გადგეს, სანამ 26 მაისის მზე ხელახლა არ გაანათებს და ჩვენი პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას ნაშთს თავისუფალ საქართველოში არ გადავასვენებთ.

ლიონის ორგანიზაციის მონდობილობით

ვ. გუნია.

ს ო ფ ლ ი ს ა ნ.

დიახ ათმა წელმა განვლო მას აქეთ რაც დიდი ნოე გაგვშორდა. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ დიდი ქართველი პატრიოტი, დიდი სოციალისტი—ერის მესაიდუმლე, დამცველი მისი მეობის, და მცოდნე მისი სულისკვეთების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემ არ იცოდა ჯვარედინ გზაზე დგომა. მისი გზა ყოველთვის მიემართებოდა ჩვენი დედა-ქალაქ თბილისისაკენ, სადაც მან თავის მადლიანი ხელით 1918 წ. 26 მაისს ააფრიალა სამფეროვანი ეროვნული დროშა. მან შესძლო შემოეკრიბა თავის გარშემო მთელი ქართველი ერი. ამიტომ მოსკოვის ბოროტი ცდები ქართველი ერისადმი რჩებოდა უშედეგოთ. ქართველმა ერმა მოსკოვს ზურგი შეაქცია და თავისთავის მოვლა თვითონ აიღო ხელში; მაგრამ სისხლის მოყვარული მოსკოვი როდი შეურიგდა ქართველი ერის სანიმუშო დემოკრატიულ წესებს, ვერაგულათ თავს დაეცა საქართველოს და ოშით დაეპატრონა მის მიწა-წყალ ს.

საქართველოს დაცემის შემდეგ ნოე, ქართველ ერისგან უფლებით მოსილი, მიდის თავისუფლების მოყვარულ საფრანგეთს და აქედან სასტიკათ უტევს ძალით შემოჭრილ მოსკოვს. ათეული წლების მანძილზე განუწყვეტელი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ ასუსტებს მის მოხუც ორგანიზმს, რომელიც ვერ იტანს მეტს და ადვილათ სულს ლევს ქართველი ერის უფლების დაცვის სადარაჯოზე.

ჩვენ, მის უკან მდგომნი, დღიდან მისი დაშორებისა, მივემართებით იმ გეზით რომელზედაც მან მიგვითითა.

ი. შავდია.

ევროპიდან.

ჩვენი ამხანაგი ხარიტონ შავიშვილი თავის ვრცელ წერილში აღნიშნავს ნოე ჟორდანიას ისტორიულ როლს—ქართველი ერის ნაწილების გაერთიანების საქმეში. ახასიათებს მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას, სთვლის მას როგორც პოლიტიკურ მწერლობის დამაარსებელს.

მოუწოდებს თითეულ ქართველ პატრიოტს იყვეს ერთგული პრეზიდენტის მიერ დასახულ იდეალების.

გრუნიდან (სენ მარიტიმეს დეპ.)

თქვენთან ერთად ვიგონებ ჩვენი ნოეს ხსოვნას; მართალია იგი დაგვშორდა უკვე ათი წელია, მაგრამ მისი სახელი მჭიდროთ დაკავშირებულია ეროვნულ განმანთავისუფლებელ მოძრაობასთან, მას მიუძღვის და უნათებს გზას. ერთგულად ვემსახუროთ მის მიერ დატოვებულ ანდერძს, საქართველოს უფლების აღსადგენათ და იქ სოციალურ სამართლიანობის დასამყარებლად.

ანტონ ყიფშიძლიანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ელიგულაშვილის
გარდაცვალების ათი წლის თავი.

გასული წლის 2 დეკემბერს საქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის პარიზის კომიტეტის მიერ გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენი ამხ. იოსებ ელიგულაშვილის გარდაცვალების 10 წლის თავზე. დილით პარიზის ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ცოცხალი ყვავილით შეამკეს იოსებისა და მისი ძმის ბენოს საფლავი, იოსების დამ ქ-ნ ანამ გრძნობიარე სიტყვით მიმართა თავის ძმას და ასე დაათავა: «აი ხომ ხედავ, არ გივიწყებენ შენი მეგობრებიო».

ნაშუადღევის 4 საათზე პოლონელების სახლში სამგლოვიარო სხდომა გახსნა პარიზის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვ. ჩუბინიძემ. მან დამსწრეთ მოაგონა განსვენებულის ბიოგრაფია და მოღვაწეობა.

შემდეგ ფრანგულ ენაზე გ. გრიგოლაშვილმა მოკლე და შინაარსიან სიტყვაში დაახასიათა განსვენებულის პიროვნება.

მ. ბერიშვილმა წაიკითხა ჩვენი ყოფილ მინისტრების: რ. არსენიძის *) და გ. ერაძის სიტყვები—რომლებმაც ვერ შესძლეს პანაშვიდზე დასწრება. ორივენი აღნიშნავდენ—იმ დიდს როლს, რომელიც ითამაშა განსვენებულმა დამოუკიდებელ საქართველოს აღმშენებლობის საქმეში—განსაკუთრებით ეკონომიურ და ფინანსიურ დარგში.

ნ. ურუშაძემ მოიგონა მისი საინტერესო შეხვედრები განსვენებულთან და აღნიშნა იოსების ერთგულება ქართული საქმისადმი.

ბ-ნ ი. გობეჩიამ მოიგონა იოსების მოღვაწეობის ზოგიერთი მომენტები.

საინტერესო იყო აგრეთვე ვ. ნოზაძის მოგონება.

სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ. ლ. ზურაბიშვილ მა განსაკუთრებით აღნიშნა განსვენებულის მოღვაწეობა დამოუკიდებლობის ხანაში, მისი პრაქტიკული საქმიანობა ფინანსიურ და ეკონომიურ დარგში.

ყურადღებით იქნა მოსმენილი საზოგადოების მიერ ბ. შ. კალანდაძის სიტყვა, რომელშიაც აღნიშნული იყო ქართველი ებრაელების ისტორიული როლი და განსაკუთრებული თვისებები რომლებიც მათ ახასიათებთ.

დასასრულ ქ-ნ ინა ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო იოსებ ელიგულაშვილის განსაკუთრებული შინაური მეგობრული ურთიერთობა ნოე ჟორდანიასთან.

ყველა ორატორები აღნიშნავდნენ იოსების ჩუმ, უანგარო თავდადებულ მუშაობას,—დამოუკიდებლობის ხანაში—ნორჩი რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის მოსაგვა-

---

*) რ. არსენიძის სიტყვა იბეჭდება აქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებლად, უცხოეთში—მთავრობის სხვა წევრებთან ერთად—საქართველოს უფლების დასაცავად.

აღნიმნულ იქნა აგრეთვე ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის თავის თანამორწმუნეთა გადარჩენის საქმეში უკანასკნელ ომის დროს. ჩვენთვის დაუვიწყარია ის მუდმივი, ძმური და მეგობრული კავშირი, რომელიც არსებობს ქართველ ქრისტიანთა და ქართველ ებრაელთა შორის. რომლის საუკეთესო ხელისშემწყობი და ხელმძღვანელი იყო განსვენებული იოსები.

მისი ხსოვნა წარუშლელი დარჩება ქართველობაში. მისი სახელი ბრწყინვალეთ აღინიშნება ქართველი ერის ისტორიაში.

მ. სტურუა.

რაჟდენ არსენიძის სიტყვა.

ათი წლის წინ ჩვენ დავკარგეთ ეს დიდი ეროვნული მოღვაწე საქართველოსი, იოსებ ელიგულაშვილი. ათი წელია ვატარებთ გულში მის ხსოვნას და იგი არასოდეს არ ამოვარდება მეხსიერებიდან.

მისი სახელი მკვიდრად არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის ბედნიერ და უბედურ დღეთა ისტორიაში.

დამოუკიდებელ საქართველოს ხახაში იოსები იმ მეთაურთა წრეს ეკუთვნოდა, რომელიც ხელმძღვანელად მოევლინა ჩვენს ქვეყანას და ახლად აღორძინებულ სახელმწიფოს უმაგრებდა საფუძვლებს და განსაკუთრებით მისი ეკონომიურ ცხოვრების მოწყობისათვის ზრუნავდა. ეს იყო ყველაზედ ძნელი უბანი, ყველაზედ მტკივნეული იმ დიდი ქაოსისა და არევ-დარევის ხანაში, რომელშიც ჩაფლული იყო მთელი რუსეთის უსაზღვრო იმპერია და რომელიც პატარა საქართველოს უდიდეს საფრთხეს უმზადებდა.

განსვენებულ კ. კანდელაკთან ერთად იოსები იყო ჩაბმული ამ მძიმე უღელში. მე ვერ შევძლებ საკმაო სისწორით დაგიხასიათოთ ის გულმოდგინეობა. ის მზრუნველობა, რომელსაც იოსები იჩენდა ამ მოვალეობის ასრულებაში. ჩუმად, უხმოდ აკეთებდა ის თავის საქმეს. გარეგნულად თითქოს დამშვიდებულად, გულში კი დიდი მღელვარებით და შინაგანი წვით ეწეოდა იგი ამ მძიმე უღელს, რომელსაც ახლად ფეხზე დამდგარი საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგება მოითხოვდა. და აი აქ გამოჩნდა მისი მაღალი პატრიოტიზმი, ჩვენი ქვეყნის დიდი სიყვარული და თავდადება. ის იყო ერთი პატიოსანი, თავმდაბალი, გულწრფელი, საიმედო აღმასრულებელი მინდობილი საქმის. ვისაც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში ან ჩვენი დაპყრობის შავბნელ დღეებში მის ახლოს უმუშავნია, ეცოდინება თუ რა დიდ ენერჯიას იჩენდა იოსები, როცა საქმე საქართველოს ეხებოდა. მმართველ წრეებში ყველამ კარგად იცოდა რომ, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსები დაივალებდა პირნათლად და უნაკლოდ იქნებოდა შესრულებული.

ის არავის აბრუებდა სიტყვათა კორიანტელით, მაგრამ ყველას გულს იგებდა თავის პრაქტიკული საქმიანობით.

გარეშეთათვის ეს შეიძლება ადვილი შესამჩნევი არ იყო, მაგრამ დღეს მაინც მის საფლავზე, მის მოგონებაზე, ხომ უნდა ითქვას ღიად საქვეყნოდ სრული სიმართლე: საქართველოს აღორძინების მოღვაწეთა პლეადაში იოსებს დიდი და საპატიო ადგილი აქვს დამსახურებული. მან უკვდავების უფლება მოიპოვა თავისი ერთგული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით. თავის დიდი პრაქტიკული ნიჭით. თავდადებითი შემოქმედებითი მუშაობით იგი ერთგულად ემსახურა საქართველოს სახელმწიფოებრივობას იქ, ჩვენს ქვეყანაში და აქაც ემიგრაციის მძიმე პირობებში მთელი თავისი ენერგიით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის გათელილი უფლების აღდგენისათვის.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას თავის სასახელოდ მიაჩნია, რომ იოსები იყო თავიდანვე მისი წევრი და ერთი მეთაურთაგანი.

მის მახლობლებს, მთელ ქართველ ებრაელობას, ჩვენს ძმებს და თანამემამულეებს, შეუძლიათ იამაყონ, რომ ასეთი შვილი გამოუზარდეს საქართველოს; ქართველი ერი მას არ დაივიწყებს, საქართველოს ისტორიაში მისი მოღვაწეობა შევა, როგორც ბრწყინვალე ფურცელი ქართველ ებრაელობის განუყრელი ერთობისა და თანამშრომლობისა.

დღეს კი ჩვენ უნდა თავი მოვიხაროთ ამ ძვირფასი ადამიანის ხსოვნის წინაშე.

მივბაძოთ მას! ვისწავლოთ მისგან ერთგულება ერისა და თავდადება სამშობლოსათვის.

განვაგრძოთ ის საქმე, რომელსაც ის მთელი თავისი არსებით შესტრფოდა, დაუზარებლად, მთელი ჩვენის ძალით, აზრით და გონებით ვემსახუროთ საქართველოს განთავისუფლებას. ეს იქნება მისი ხსოვნის უაღრესი პატივისცემა და მისი გულის ნადები ანდერძის გახორციელება.

მადლობის გამოცხადება.

ულრმეს მადლობას უცხადებ საქ. სოც.-დემ. პარტიის პარიზის კომიტეტს და მის თავმჯდომარეს ვ. ჩუბინიძეს ჩემი ძვირფასი ძმის იოსების გარდაცვალების ათი წლის თავზე—სამოქალაქო პანაშვიდის მოწყობისთვის.

მადლობას მოვახსენებ ყველა ორატორებს რომლებმაც შესაფერი სიტყვებით აღნიშნეს ჩემი ძმის მოღვაწეობა—და აგრეთვე ქართველ საზოგადოებას დასწრებისთვის.

ანა ელიეზულაშვილი—იაკობიშვილი.

— —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელიგულაშვილების მთელი ოჯახი უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ჩვენ ძვირფას იოსების გარდაცვალების ათი წლის თავზე—სამოქალაქო პანაშვიდის მომწყობთ. მადლობა ქართულ საზოგადოებას დასწრებისთვის და ყველა იმ პირთ, რომლებმაც მხურვალე სიტყვებით მოიგონეს იოსების პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

დაუვიწყარი და გამამხნევებელი იქნება ჩვენთვის ამ დღის მოგონება.

ელიგულაშვილების ოჯახი.

ნიკო იმნაიშვილი.

დავკარგეთ დიდი მუშაკი.

თავდადებული ქართული საქმისთვის. ერთგული ჩვენი პარტიის, მედგარი დამცველი მისი იდეალების, სიყრმიდან-ვე რომ იდგა მის სამსახურში. მან დაარსა არაერთი ჭრელ ახალგაზრდობის, უმეთაურა მას, შთანერგა სამსახური საზოგადოების, შეაყვარა შრომა, ჩააბა საერთო ბრძოლის რიგებში.

ეს იყო, იქ სამშობლოში, როცა რევოლუციისა და შემდეგ დამოუკიდებლობის პირველ ხანებში, მას გამუდმებით უხდებოდა მიტინგებზე, კრებებზე გამოსვლა, ახალგაზრდული ცეცხლით ანთებული მისი სიტყვა ყურადღებას იპყრობდა, მსმენელთ აჯადოებდა...

ნიჭიერი, შრომის მოყვარული ნიკო—ჩვენმა მთავრობამ უცხოეთში გამოგზავნა სწავლის დასამთავრებლად, მან ჩინებულად დაამთავრა ეკონომიური დარგი. სწავლაში ჩაბმულს არ შეუჩერებია პოლიტიკური მუშაობა. გერმანიის სოციალისტურ წრეებში გზას იკაფავდა, მათ კრებებზე მონაწილეობას ღებულობდა, მეგობრებს იძენდა, და როცა საქართველო დაიპყრეს, მას უკვე ჰქონდა ასპარეზი სამოქმედო,—სადაც მან გაშალა თავის ეხერგია, ამხილა მოსკოვის ვერაგული თავდასხმა. გადაეშვა ეროვნული ბრძოლის ქარცეცხლში ნთელი არსებით, ფიქრით, აზრითა და გონებით ორმოცი წლის მანძილზე მის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი პერიოდი შესვენების. მაშინაც კი, როცა შვებულებაში მიდიოდა,—იგი სწერდა, მასალას ამზადებდა, რათა ქართული საკითხი გაეტანა უცხო პრესაში, სოციალისტურ კონგრესებზე. ის იყო უშუალო თანამშრომელი ნოე ჟორდანიასი, რომელიც ნის შრომას აფასებდა და მას ხშირად მძიმე დავალებებს აძლევდა. ჩვენს ძვირფას ალ. კორძაიასთან ერთად ის იყო ჩვენი ცენტრალურ ხელმძღვანელ ორგანოს წარმომადგენელი გერმანიაში. მუშაობდა მისი დირექტივების ქვეშ.

უკანასკნელი ათი წელი—ეს იყო მისთვის შეიძლება წლები ბედნიერების, რადგან მას ჰქონდა საშუალება ელაპარაკა ქართველ ხალხთან,—მიუნხენის რადიოდგან, სადაც იგი ითვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდა ქართული რედაქციის ხელმძღვანელის რ. არსენიძის მოადგილეთ. ღრმა მცოდნე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების,—ის პასუხს აძლევდა იქ ქართველი ერის კულტურულ, პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებიდან წამოჭრილ საკითხებს... მისი შეტევა, კრიტიკა, მუდამ იყო დასაბუთებული, მკვეთრი, უკომპრომისო...

ის ხშირად ავადმყოფობდა,—უკანასკნელად მაინც მაგრად მოჰკიდა ხელი სენმა, მაგრამ კალამს მაინც ხელიდან არ აგდებდა, ბრძოლას აგრძელებდა და ამ ბრძოლის ასპარეზზე დალია სული.

ის ვერ ელირსა სამშობლოს კვლავ ხილვას, რომლის სიყვარულით იყო შეპყრობილი, რომლის სამსახურს შესწირა მთელი თავისი ცხოვრება. ნუგეშათ რწმენა ჩაჰყვა უცხო მიწაში—მისი განთავისუფლების, მისი აღდგომის. ამ იდეალის მისაღწევად სამშობლო მრავალ ათასეულ მსხვერპლთა შორის თავის საუკეთესო შვილის ნიკოს ღვაწლსა და ამაგს არ დაივიწყებს.

ბ. ხ.

გრიგოლ რობაქიძე.

(1881—1962)

უბედური დღე იყო ჩვენთვის გასული წლის 20 ნოემბერი. ამ დღეს გამოგვეცალა ხელიდან ერთი სახელოვანი მწერალი, დიდი მოაზროვნე, გონიერი და ღრმად განათლებული გრიგოლ რობაქიძე.

გრიგოლი გამოვიდა უბრალო წრიდან, დაიბადა დიაკვნის ოჯახში ჩხარში. განათლება მიიღო ჯერ სოფლის სკოლაში, შემდეგ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და სემინარიაში. დაათავა სემინარია ჩინებულათ და გაეგზავნა დორპატის (ტარტე) უნივერსიტეტში, სადაც შეიძლებოდა სემინარიელების მიღება წინასწარი სპეციალური გამოცდების შემდეგ. ეს იყო 1901 წელს. მალე დასტოვა უნივერსიტეტი და დაბრუნდა თბილისში. სადაც დასწერა რამდენიმე წერილი ჟურნალ «კვალში» პიროვნების როლის შესახებ. წერილებს ეტყობოდა ნიჭი, აზროვნების სიმკვრივე და გაბედულობა. ამიტომ მას მოუპოვეს სტიპენდია და გაგზავნეს საზღვარეთ სწავლის დასამთავრებლად. ის წავიდა ლეიპციგში, სადაც გაიარა უნივერსიტეტის კურსი და დაბრუნდა ისევ თბილისში. წავიდა, როგორც ახალგაზრდა მარქსისტი, ხოლო ჩამოვიდა სულ სხვა აზრებით და თეორიებით დატვირთული. თან მოიტანა სტილი ახალი, თავისებური, ორიგინალური, აზრები ჩამოყალიბებული გაჭედილ-ფოლადივით, წინადადებები მოკვეთილი, სიტყვა ნასხლეტი, ფრაზები ჩაწოსხმული. ეს იყო ახალი ფენომენი, ქართული ენის საძირებზე აღმოცე-

ნებული, ახალი თქმა, ახალი ფორმა. ლამაზი, ჩამოკვეთილი, ერთხანს ზოგთათვის ძნელად გასაგები, მაგრამ ყველასთვის მიმზიდველი, ელვარადი.

წერდა ლექსებს, რომანებს, კრიტიკულ შენიშვნებს, იყო ღრმა მოაზროვნე, არჩევდა ქართველ მწერლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ანალიზი მთის არწივის ვაჟას პოეზიის. მან პირველად გამოხსნა და გამოკვეთა მთიული სული ვაჟას მაღალ ნიჭიერი შემოქმედების, გამოიტანა სინათლის შუქზე მთის გენია, რომელიც სდუღს ვაჟას შემოქმედებაში. და ეს იყო იმდენათ ღრმა განხილვა ვაჟასი. რომ ბევრის თვალში ის გახდა ვაჟას აღმომჩენი, მისი პირველი გამცნობელი ქართველი საზოგადოებისათვის.

საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრის შემდეგ ის, ვგონებ ლეგალურათ, ჩამოვიდა საზღვარ გარეთ და უკან აღარ დაბრუნებულა.

გრნგოლ რობაქიძეს ქონდა განსაკუთრებული ნიჭი ხილვისა, შეცნობისა, მთავარი ღერძის მიგნებისა. და ხშირათ ორიოდე შტრიხით იძლეოდა მთელ დახასიათებას მოვლენისა თუ პიროვნებისა.

ასევე მის ნაწარმოებებში მოსჩანს, რომ ის გრძნობდა და ხედავდა—მას. რასაც ჩვეულებრივი თვალი და გული ვერ მიწვდომია. ამიტომ მისი თქმა ყოველთვის იყო აღმოჩენა, სიახლე. აქ ვსვამთ წერტილს.

ჩვენ ვიცით, მკრთალია ჩვენი მოცემული სურათი; მაგრამ მრწამს გამოჩნდება ქართველი მაღალნიჭიერი მწერალი. რომელიც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების სიღრმე-სიგანეს მისწვდება, ამოიღებს და ქვეყნის წინაშე გადაშლის.

გრიგოლს კი შეგვიძლია ვუთხრათ: უკვდავება თავისი მან თვითონ მოიპოვა. იგი იცოცხლებს თავის ნაწარმოებებში, რადგან აქ არის მისი არსება, მისი სულის ყოველი მოძრაობა ჩაქსოვილი.

ჩვენ კი ვგლოვობთ იმას, რომ უდროოთ გამოგვეცალა ხელიდან ეს დიდი სიამაყე ქართული ლიტერატურისა!

რ. ა.

იოსებ გოგბჩია.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ პარიზში გარდაიცვალა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონურ პარტიის ერთი მეთაურთაგანი და დამფუძნებელი კრების წევრი იოსებ გოგბჩია. ის იყო წევრი «დამკომის» და მის მიერ გამოგზავნილი უცხოეთში.

განსვენებული იყო დაუღალავი მებრძოლი ქართულ საქმის. უცხოეთში მის შეუჩერებელ მოღვაწეობას საქართველოს უფლების დასაცავად—ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მოხუცი. ავადმყოფი უკანასკნელ დღემდე არ უშვებდა შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევას მხურვალე მონაწილეობა მიეღო ქართულ საქმიანობაში. ცდილობდა აგრეთვე უცხო პრესაში გაეტანა ქართველი ერის ბრძოლა—გაეცნო საზოგადოებრივ აზრისთვის. —გარდაუვალი სურვილი ქართველი ერისა ეროვნულ თავისუფლების აღსადგენათ.

დასაფლავებულ იქნა 5 იანვარს, ლევილში ძმათა სასაფლაოზე. სიტყვები წარმოსთქვეს: სათვისტომოს თავმჯდომარემ ლ. ზურაბიშვილმა და ელ. პატარიძემ.

ილ. გოლდმანის მეუღლის ხსოვნას.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ მოულოდნელად დაკარგა საუკეთესო თანამებრძოლი და დაჩაგრულ ერთა თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი პოლინა ევსეევის ასული გოლდმანისა.

პოლინა ევსეევის ასული გოლდმანისა დაიბადა კულტურულ ჟურნალისტის ოჯახში რომლის უახლოესი მეგობარი იყო ფილოსოფი ლევ შესტიკი, ხოლო მისი ბიძა მთელ თავის სიცოცხლეში ნიუიორკის ცნობილ «ფორვარდ»-ის რედაქტორი იყო.

ფლობდა რა განსვენებული მრავალ უცხო ენებს, ახალგაზრდობიდანვე ჩაება ერთა გამანთავისუფლებელ მოძრაობაში და დიდის თავდადებით მოკიდა ხელი საქართველოს საკითხის დაცვას. ის არ უშვებდა არც ერთ მნიშვნელოვან თუ არა მნიშვნელოვან მომენტს ან შესაძლებლობას, რომ საქართველოს რესპუბლიკის ძალით მოტაცებული თავისუფლების საკითხი არ გამოეყენებია და ქართული საკითხის პროპაგანდა არ გაეკეთებია.

განსვენებულისათვის დამოუკიდებელი საქართველო, მისი მთავრობა და მისი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია წარმოადგენდა თავისი ქვეყნის სიმართლისათვის ბრძოლის სიმბოლოს და არც ერთი წუთით მისი ფიქრები ამ საკითხს არ მოშორებია.

პოლინა ევსეევის ასული არ ეძებდა არც შექებას და არც საზღაურს მისი მრავალი ათეული წლების მანძილზე თავდადებულ მუშაობისათვის საქართველოს სასარგებლოდ; მან იცოდა, რომ იცავდა იქ ქვეყნის ინტერესებს, რომელიც მან თავის სამშობლოდ მიიღო და რომელმაც თავისუფლება დაკარგა უწონასწოროთა ძალმომრეობის ნიადაგზე.

ასეთი იყო ეს კეთილშობილი და გულწრფელი ადამიანი, რომლის დაკარგვას დიდათ ვგლოვობთ ყველანი, ვინც მის საქმიანობას გავცნობივართ. მის სახელს არც ქართველი ერი დაივიწყებს.

მ. ბ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედორე სარჯველაძის ხსოვნას.

კიდევ ერთი კარგი ქართველი გამოაკლდა ამერიკაში მცხოვრებ ქართველობას. გარდაიცვალა თედორე სარჯველაძე, ადამიანი სინდისით მდიდარი. მორალ ით მაღალ ი.

თ. სარჯველაძე იყო ჩ. ა. შ. შ. ქართულ საქმიანობის ერთი მთავარი მონაწილეთაგანი. სათვისტომოს ძველი წევრი და მისი ჩამოყალიბების პირველი ბურჯი. იგი იყო გაჭირვების ტალკვესი, ახალ ჩამოსულ ქართველებისათვის გზის მაჩვენებელი.

განსვენებული მრავალმხრივ დასაჯა ბედმა: დაუსნეულდა მეუღლე იმ დროს, როცა თითონ იყო დასნეულებული გულის ავადმყოფობით.

თ. სარჯველაძეს დარჩა ერთი ქალიშვილი.

ლ. ა.

გიორგი საჯაია.

აღმოსავლეთ გერმანიიდან მივიღეთ ფრიად სამწუხარო ცნობა, რომ იქ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გიორგი საჯაია.

დავით სალირაშვილი.

დ. სალირაშვილი დაიბადა თბილისში ღარიბი მებაღის ოჯახში. გაათავა სამოქალაქო ორკლასიანი სასწავლებელი. გაერია მუშათა მოძრაობაში.

პირველი დიდი ომის წინ იჯდა ციხეში. გადაასახლეს როსტოვში. მოაწყო გადასახლებულების და ადგილობრივი მუშების ორგანიზაცია. დაიჭირეს, იჯდა ციხეში. გადაასახლეს ხარკოვში. ომის გამოცხადების შემდეგ იქიდან გადაასახლეს პალტავაში, პალტავიდან ცარიციხში.

იქ მოაწყო სოც.-დემოკრატიული კომიტეტი, რომელ საც თვითონ ხელმძღვანელობდა.

თებერვლის რევოლუციის დროს ცარიცინის რევოლუციონურმა ქალაქმა დანიშნა მთელი რაიონის სამხედრო გამგეთ. ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა სახალხო გვარდიის შტაბში. იყო აქტიური. როცა გრიშა ურატაძე ხელშეკრულების დასადებათ მიდიოდა მოსკოვში დათიკო მას გაყვა გაგრიდან. ეხმარებოდა მოლაპარაკების დროს.

საქართველოში ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ გადიხიზნა საზღვარგარეთ. უკანასკნელად ცხოვრობდა თავის ქალიშვალთან ნიუიორკში, სადაც გარდაიცვალა.

რედაქცია უცხადებს თავის უღრმეს თანაგრძნობას მის შვილებს და სიძეს.

ამ უკანასკნელ წანეში გარდაიცვალენ.

პოლკოვნიკი ვიქტორ ცხაკაია, ქ-ნი ბებურიშვილ ისა და დიანოზ ასათიანი.

რედაქცია უცხადებს სამძიმარს მათ ჭირისუფლებს.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.